# ხელშეკრულება 12/11

*ქ.ონი* *27 ნოემბერი 2014წ.*

*ერთის მხრივ ონის მუნიციპალიტეტი, (შემდგომში შემსყიდველი), მდებარე ქ.ონში დავით აღმაშენებლის მოედანი №1, წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის გიორგი ლობჯანიძის სახით, ხოლო მეორეს მხრივ ი/მ "ავთანდილ ლობჯანიძის" სახით (შემდგომში მიმწოდებელი) ვდებთ მოცემულ ხელშეკრულებას შემდეგ ზე:*

## 1. ხელშეკრულების საგანი

*1.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, ქ. ონში გამწვანების ზოლში არსებული ზეხმელი და ავარიულ მდგომარეობაში მყოფი ხელოვნური ნარგავების მოჭრა-დამუშავების და ტრანსპორტირებით მომსახურებას, დანართის შესაბამისად (დანაყოფის კოდი 77211500);*
*1.2 შემსყიდველი უნაზღაურებს მიმწოდებელს შესრულებული მომსახურეობის შესაბამისად-ეტაპობრივად ხელშეკრულების მე-6 , მე-7 და მე-8 მუხლის შესაბამისად.*

## 2. მომსახურების შესრულების პირობები

*2.1 სამუშაოების შესრულების ვადებში ცვლილებების შეტანა დაუშვებელია მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.*
*2.2 ხელშეკრულების გათვალისწინებით მოემსახურება მოხდება 2014 წლის 31 დეკემბრამდე.*

## 3. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

*3.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2015 წლის 1 თებერვლამდე.*

## 4.შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

*4.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, რომელსაც ხელს მოაწერს მიმწოდებელი და ოჯახის წარმომადგენელი, (შემდგომ წარმოდგენილი სიის მიხედვით).*

## 5. ანგარიშსწორება

*5.1 მიღება-ჩაბარების აქტისა და ინვოისის თანდართული ფორმით, ამის შემდეგ 10 დღის განმავლობაში მოხდება ანგარიშ სწორება.*

## 6. ანგარიშსწორების ვალუტა

*6.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში*

## 7.ხელშეკრულების ღირებულება

*7.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **1373,90 (ერთი ათას სამასსამოცდაცამეტი ლარი და 90 თეთრი) ლარს.***

## 8.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

*8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა.*
*8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.*
*8.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.*
*8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.*

## 9.ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

*9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების შესრულება, ამ მხარემ წერილობით უნდა აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე ვადაში უნდა აცნობოს თავისი გადაწყვეტილება მეორე მხარეს, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.*

*9.2 იმ შემთხვევაში თუ მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.*

ONI MUNICIPALITY

## 10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

*10.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები: სამუშაოთა შესრულების გრაფიკიდან 10 დღის ჩამორჩენის შემთხვევაში შემსრულებელს დაეკისრება ჯარიმა სახელშეკრულებო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით. შემსრულებელი თუ 20 დღის განმავლობაში არ აღმოფხვრის გრაფიკიდან ჩამორჩენას შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.*
*10.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.*

## 11. ფორს-მაჟორი

*11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე ნხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.*
*11.2 ფორს-მაჟორული გარემოებები შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.*
*11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებებისამებრ , მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობებისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.*

## 12.სადაო საკითხების გადაწყვეტა

*12.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა მოლაპარაკების გზით მოაგვარონ უთანხმოება.*
*12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30(ოცდაათი) დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეძლებენ სადაო საკითხების მოგვარებას მაშინ მათ უფლება აქვთ დადგენილი წესის მიხედვით მიმართონ სასამართლოს.*

## 13. გადასახადები და დაბეგვრა

*13.1 მიწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის და სხვა გადასახდელების გადახდაზე.*

| | |
|---|---|
| *დამკვეთი:*<br>*ონის მუნიციპალიტეტი:* | *შემსრულებელი:*<br><br>*ი/მ "ავთანდილ ლობჟანიძე":* |
| ---------------------------<br>*/გიორგი ლობჟანიძე/* | ---------------------------<br>*/ავთანდილ ლობჟანიძე/* |
| ქ. ონი, დ.აღმაშენებლის მოედ.№1 | ონი, სოფ. ბაჯიხევი<br>ტელ.: 551 131822 |
| ს/კ №237978275<br>ანგ. № **GE62LB0120115527055000** | ს/კ 34001000980<br>ანგ. №**GE06LB0112149571567000** |
| ს.ს. "ლიბერთი ბანკის" ონის ფილიალი<br>ბ.კ. **LBRTGE22** | ს.ს. "ლიბერთი ბანკი"<br>ბ.კ. **LBRTGE22** |

ვამტკიცებ: ონის მუნიციპალიტეტის გამგებელი ბ. ლობჟანიძე

ქალაქის გამწვანების ზოლში არსებული ზეხმელი და ავარიულ მდგომარეობაში მყოფი ხელოვნური ნარგავების მოჭრა დამუშავება.

ხარჯთაღრიცხვა

ქ. ონი 2014

| | სამუშაოს დასახელება | განზომილება | რაოდენობა | მექ.სთ | მასალა | | ხელფასი | | მექანიზმ. ტრანსპორტი | | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | ერთ.ფასი | სულ.ფასი | ერთ.ფასი | სულ.ფასი | ერთ.ფასი | სულ.ფასი | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 |
| | ქაფიანიძის ქუჩაზე და გიგა ჯაფარიძის სახელობის ბულვარში 6 ცალი ზეხმელი და ავარიული ხეების მოჭრა დამუშავება, გატანა | ცალი | 6 | | | | 70 | 420 | 20 | 120 | 540 |
| | ფოთლოვანი ჯიშის ხეების გადაბელვა | ცალი | 20 | | | | 20 | 400 | 10 | 200 | 600 |
| | ტერიტორიის გასუფთავება ნარჩენებისგან | $მ^3$ | 3 | | | | 10 | 30 | 10 | 30 | 60 |
| | ჯამი | | | | | 0 | | 850 | | 350 | 1200 |
| | ზედნადები ხარჯი 7 % | | | | | | | | | | 84 |
| | ჯამი | | | | | | | | | | 1284,0 |
| | გეგმიური დაგროვება 7 % | | | | | | | | | | 89,9 |
| | ჯამი | | | | | | | | | | 1373,9 |
| | დ.ღ.გ. 18% | | | | | | | | | | 247,3 |
| | ჯამი | | | | | | | | | | 1621,2 |

შეადგინა: ონის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის ზედამხედველობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურმა

სამსახურის უფროსი: თ. გრძელიშვილი